

Ceresit

Ceresit CE 40 წყალმედვეგი და წყალგამძლე

ელასტიური პრემიუმ ხარისხის ფუგა

წყლისა და ჭუჭყისადგმი მედეგი ელასტიური ფუგა 8 მმ-მდე სიგანის შოვებისთვის



მახასიათებლები

- წყალმედვეგი
- შიდა და გარე მოხმარებისთვის
- იოლად გამოყენებადი
- სტაბილური და თანაბარი ფერები
- მდგრადია ოზონს, სოკოს მიმართ, გრძელვადიანი პერიოდით
- გამოიყენება მაღალი ტენიანობის ადგილებში, თბილ იატაკებზე, აივნებსა და ტერასებზე



გამოყენების სფერო

კერამიკული, მარმარილოსა და ბუნებრივი ქვების ვერტიკალური ან ჰორიზონტალური ზედაპირების დასაფუგად. მაღალი წყალმედვეგობის ეფექტის გამო, წყლის წვეთები ფუგის ზედაპირზე რჩება და ვერ აღწევს მის სტრუქტურაში. ეს იძლევა Ceresit CE 40 ფუგის გამოყენების საშუალებას მუდმივად ნესტიან ადგილებში, როგორცაა, სააბაზანო, საშაპე, სამზარეულო და ა.შ. Ceresit CE 40 გამოიყენება როგორც შიდა, ისე გარე სამუშაოებისთვის. გირჩევთ გამოიყენოთ Ceresit CE 40 დეფორმირებად ზედაპირებზე როგორცაა, თბილი იატაკი, OSB, თაბაშირ-მუყაო.

CE 40 აკმაყოფილებს EN 13888-2009 პირობებს, კლასი "CG2 Ar W" (ფუგები მაღალი დონის დასაფუგად, მაღალაბრაზიული რეზისტენტობით და წყალმედვეგობით).

შერთების ადგილები, კუთხეები, კედლებს შორის ნაკერები და წყაგაყვანილობის ირგვლივ გადაბმები აუცილებლად უნდა დაილუქოს Ceresit CS 25 სანიტარულ-ტექნიკური სილიკონით.

მომზადება

ფილის წებო-ცემენტი უნდა იყოს საკმარისად მყარი და მშრალი და გადაბმები წინასწარ უნდა გაიწმინდოს და გასუფთავდეს მტვრისგან (გამოყენებიდან 1 დღის შემდეგ). ფილების ფოროვანი ან ნაკაწრებისადმი მგრძობიარე ზედაპირის შემთხვევაში, რეკომენდებულია Ceresit EC 40 ფუგით ტესტების ჩატარება ფილების დალაქავების თავიდან ასაცილებლად.

გადაბმები უნდა იყოს უწყვეტი ვერტიკალურ ჭრილში; ფუგამ უნდა ჩააღწიოს წებო-ცემენტამდე.



გამოყენება

ჩაასხით Ceresit CE 40 ზუსტი რაოდენობის ცივ და სუფთა წყალში და აურიეთ ელექტრო მიქსერით, სანამ არ მიიღებთ ერთგვაროვან ნაერთს, გროვების გარეშე. 5 კგ Ceresit CE 10-ზე საჭიროა 1.4 – 1.55 ლ წყალი. ურიეთ, სანამ თანაბარ და ერთგვაროვან ფერს არ მიიღებთ.

ფუგა უნდა დაიტანოთ სპეციალური დასაფუგა ხელსაწყოებით (ფოროვანი საბრტყელბელი). ახლად დაფუგული ნაკერები შეიძლება ფორმირდეს ნესტიანი ღრუბლით, როდესაც ფუგა იწყებს გამკვრივებას.

ზედმეტი მასალის ფენა მოაშორეთ ნესტიანი ღრუბლით. საჭიროების შემთხვევაში, ახლად დაფუგული ნაკერები უნდა დაიცვათ წვიმისგან. სრული წყალმედვეგური ეფექტი მიიღწევა გამოყენებიდან 7 დღის შემდეგ. მოსაპირკეთებელი სამუშაოების დროს ფუგაზე არ უნდა მოხდეს მექანიკური დატვირთვა (მაგ. დაკაწრა ან ფორმირება მყარი საგნებით).

შენიშვნა:

Ceresit CE 40-ის გამოყენება უნდა მოხდეს მშრალ პირობებში, 5 °C და 25 °C ტემპერატურაზე. აქ ნაჩვენები მონაცემები მიღებულია 23°C და 50% ატმოსფერული ტენიანობის პირობებში. სხვადასხვა პირობებში, გამყარებისა და გაშრობის პროცესი შეიძლება უფრო სწრაფი ან ნელი იყოს. ფუგა შეიძლება გაუფერულდეს ფილის კიდეების შეწოვის უნარის, ნაერთში წყლის რაოდენობისა და გაშრობის სიჩქარის შესაბამისად.

Ceresit CE 40-ი შეიცავს ცემენტს და ტუტე რეაქციაში შედის წყალთან. სწორედ ამიტომ გირჩევთ, მოერიდოთ კანთან და თვალბთან კონტაქტს. თვალში მოხვედრის შემთხვევაში, დაიბანეთ თვალები დიდი რაოდენობის წყლით და მიმართეთ ექიმს.

ჩამოთვლილი თვისებები ეფუძნება გამოცდილებას და პრაქტიკულ შემოწმებებს. ობიექტის სპეციფიკური პირობები და ჩვენი პროდუქციის სწორი და, შესაბამისად, წარმატებული გამოყენება ჩვენი კონტროლის ფარგლებს სცილდება. ამ მიზეზით, ექვის შემთხვევაში, პროდუქტის მახასიათებელი უნდა შემოწმდეს ცდებით. სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება შეუძლებელია არც ამ შენიშვნების ფურცლის მითითებით და არც სიტყვიერი რჩევით. ექვის შემთხვევაში გთხოვთ გაიაროთ კონსულტაცია.

კერამიკული ფილების დასაფუგად კიმიურად დატვირთულ გარემოში, გთხოვთ, გამოიყენოთ Ceresit-ის სხვა ფუგები.

ამ ტექნიკური შენიშვნების ფურცლის გამოქვეყნებით ყველა წინამორბედი კარგავს ძალას.

შენახვა

ინახება 24 თვის განმავლობაში მშრალ ადგილას.

შეფუთვა

2 და 5 კგ პლასტმასის სათლები

ტექნიკური მონაცემები

ბაზა:	ცემენტი მინერალებითა და პოლიმერებით
კლასი:	CG2 AW
ვხვნილის სიმკვრივე:	c. 1,1 კგ/დმ ³
შერევის კოეფიციენტი:	0.6 ლ წყალი 2 კგ-ზე
გამოყენების დრო:	2 სთ
გამოყენების ტემპერატურა:	+5°C - +25°C
გავლის შესაძლებლობა:	9 სთ
ფერები:	ხელმისაწვდომია 38 ფერში
სიმტკიცის განსაზღვრა გაჭიმვისას მოხრით, ნორმალურ პირობებში	> 3.5 N/მმ ²
სიმტკიცის განსაზღვრა გაჭიმვისას მოხრით გაყინვა-გადნობის ციკლების შემდეგ	> 3.5 N/მმ ²
სიმტკიცის განსაზღვრა კუმშვისას, ჩვეულებრივ პირობებში	> 15 N/მმ ²
სიმტკიცის განსაზღვრა კუმშვისას, გაყინვა-გადნობის ციკლების შემდეგ	> 15 N/მმ ²
წყლის შეწოვა 30 წთ-ის შემდეგ	≤ 2 გრ
წყლის შეწოვა 240 წთ-ის შემდეგ	≤ 5 გრ
ცვეთამდეგობის განსაზღვრა	< 1000 მმ ³
შეკლება	< 3 მმ/მ

მოხმარება

ფილის ზომა (სმ)	ნაკერის სიგანე (მმ)	CE 40 მოხმარება (კგ/მ ²)
5 x 5	2	0,5
5 x 5	3	0,8
10 x 10	2	0,4
15 x 15	3	0,4
10 x 20	3	0,4

